



## მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
<b>შემოსულობები</b>	<b>6,631.7</b>	<b>11,583.0</b>	<b>4,321.2</b>	<b>7,261.8</b>	<b>5,126.0</b>	<b>5,126.0</b>	<b>0.0</b>
შემოსავლები	6,571.6	11,568.0	4,306.2	7,261.8	5,111.0	5,111.0	0.0
არაფინანსური აქტივების კლება	60.1	15.0	15.0	0.0	15.0	15.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
<b>გადასახდელები</b>	<b>7,106.6</b>	<b>13,304.3</b>	<b>4,783.7</b>	<b>8,520.6</b>	<b>5,126.0</b>	<b>5,126.0</b>	<b>0.0</b>
ხარჯები	2,992.7	3,615.3	3,452.1	163.2	3,955.7	3,955.7	0.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	4,113.8	9,661.2	1,303.8	8,357.4	1,113.7	1,113.7	0.0
ვალდებულებების კლება	0.0	27.8	27.8	0.0	56.5	56.5	0.0
<b>ნაშთის ცვლილება</b>	<b>-474.9</b>	<b>-1,721.3</b>	<b>-462.5</b>	<b>-1,258.8</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>

## მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 5,111.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
<b>შემოსავლები</b>	<b>6,571.6</b>	<b>11,568.0</b>	<b>4,306.2</b>	<b>7,261.8</b>	<b>5,111.0</b>	<b>5,111.0</b>	<b>0.0</b>
გადასახადები	327.9	3,965.5	3,965.5	0.0	4,836.0	4,836.0	0.0
გრანტები	6,094.0	7,354.1	103.0	7,251.1	105.0	105.0	0.0
სხვა შემოსავლები	149.7	248.4	237.7	10.8	170.0	170.0	0.0

## მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 4,836.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2020 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
<b>გადასახადები</b>	<b>327.9</b>	<b>3,965.5</b>	<b>3,965.5</b>	<b>0.0</b>	<b>4,836.0</b>	<b>4,836.0</b>	<b>0.0</b>
საშემოსავლო გადასახადი	34.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
დამატებითი ღირებულების გადასახადი	0.0	3,715.5	3,715.5	0.0	4,636.0	4,636.0	0.0
ქონების გადასახადი	293.7	250.0	250.0	0.0	200.0	200.0	0.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	264.9	240.0	240.0	0.0	192.0	192.0	0.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0



ხარჯები	2,992.7	3,615.3	3,452.1	163.2	3,955.7	3,955.7	0.0
შრომის ანაზღაურება	1,047.8	1,157.0	1,157.0	0.0	1,252.8	1,252.8	0.0
საქონელი და მომსახურება	955.8	1,319.7	1,236.5	83.2	1,465.9	1,465.9	0.0
პროცენტები	52.5	27.8	27.8	0.0	27.9	27.9	0.0
სუბსიდიები	710.3	780.6	780.6	0.0	814.3	814.3	0.0
გრანტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	112.8	175.6	95.6	80.0	144.0	144.0	0.0
სხვა ხარჯები	113.6	154.6	154.6	0.0	251.0	251.0	0.0

### მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 1,098.7 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა - 1,113.7 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება -15.0 ათასი ლარით:

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	ათას ლარში		
		2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი
<b>01 00</b>	<b>მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები</b>	<b>51.4</b>	<b>41.2</b>	<b>16.5</b>
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	51.4	41.2	16.5
<b>02 00</b>	<b>ინფრასტრუქტურის განვითარება</b>	<b>4,062.5</b>	<b>9,308.3</b>	<b>1,084.0</b>
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2,366.1	4,015.1	301.7
02 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1,696.4	4,631.0	682.3
02 03	ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა)	0.0	662.2	100.0
<b>03 00</b>	<b>დასუფთავება და გარემოს დაცვა</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	0.0	0.0	0.0
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	0.0	0.0	0.0
<b>04 00</b>	<b>განათლება</b>	<b>0.0</b>	<b>310.0</b>	<b>13.2</b>
04 01	სკოლამდელი განათლება	0.0	0.0	13.2
04 02	საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები და მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა	0.0	310.0	0.0
<b>05 00</b>	<b>კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი</b>	<b>0.0</b>	<b>1.8</b>	<b>0.0</b>
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	0.0	0.0	0.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	0.0	1.8	0.0
05 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	0.0	0.0	0.0
05 04	მოსწავლე ახალგაზრდობის ღონისძიებების დაფინანსება	0.0	0.0	0.0
<b>06 00</b>	<b>ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	0.0	0.0	0.0
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0
	<b>სულ არაფინანსური აქტივების ზრდა</b>	<b>4,113.8</b>	<b>9,661.2</b>	<b>1,113.7</b>

დასახელება	ათას ლარში		
	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი
არაფინანსური აქტივების კლება	60.1	15.0	15.0
ძირითადი აქტივები	47.8	10.0	10.0
მატერიალური მარაგები	3.0	0.0	0.0
არაწარმოებული აქტივები	9.3	5.0	5.0
მიწა	9.3	5.0	5.0

**მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რეადაქციით:

<i>ათას ლარში</i>				
ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი
7.1	<b>საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება</b>	<b>1,627.9</b>	<b>1,848.0</b>	<b>2,102.1</b>
7.1.1	ადმსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1,622.4	1,842.5	2,012.2
7.1.1.1	ადმსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1,622.4	1,820.5	1,912.2
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	22.0	100.0
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0.0	0.0	84.4
7.1.8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	<b>5.5</b>	<b>5.5</b>	5.5
<b>7.4</b>	<b>ეკონომიკური საქმიანობა</b>	<b>3,369.3</b>	<b>6,640.5</b>	<b>607.0</b>
7.4.5	ტრანსპორტი	2,461.7	4,134.1	434.8
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2,461.7	4,134.1	434.8
7.4.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	907.6	2,506.3	172.2
<b>7.5</b>	<b>გარემოს დაცვა</b>	<b>284.4</b>	<b>311.6</b>	<b>410.0</b>
7.5.1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	254.7	308.5	360.0
7.5.3	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	29.7	3.1	50.0
7.6	<b>საბინაო კომუნალური მეურნეობა</b>	<b>969.0</b>	<b>3,064.9</b>	<b>900.1</b>
7.6.1	ბინათმშენებლობა	0.0	10.0	10.0
7.6.2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	718.1	2,733.1	475.3
7.6.3	წყალმომარაგება	64.8	133.4	184.8
7.6.4	გარე განათება	186.1	188.4	230.0
7.7	<b>ჯანმრთელობის დაცვა</b>	<b>37.8</b>	<b>47.1</b>	<b>31.8</b>
7.7.4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	37.8	47.1	31.8
7.8	<b>დასვენება, კულტურა და რელიგია</b>	<b>532.1</b>	<b>611.8</b>	<b>655.8</b>
7.8.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	137.5	152.6	157.0
7.8.2	მომსახურება კულტურის სფეროში	356.2	412.2	458.8
7.8.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	38.4	47.1	40.0
7.9	<b>განათლება</b>	<b>176.9</b>	<b>600.6</b>	<b>245.2</b>
7.9.1	სკოლამდელი აღზრდა	176.9	207.4	245.2
7.9.2	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	0.0	393.2	0.0
7.10	<b>სოციალური დაცვა</b>	<b>109.1</b>	<b>179.8</b>	<b>174.0</b>
7.10.1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	44.3	50.0	107.2
7.10.2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	2.5	2.5	2.4
7.10.3	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	5.6	6.3	9.0
7.10.4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	29.1	35.0	45.4
7.10.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	27.6	86.0	10.0
	<b>ს უ ლ</b>	<b>7,106.6</b>	<b>13,304.3</b>	<b>5,126.0</b>

**მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო**

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს 56.5 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 1,155.3 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი
საოპერაციო სალდო	3,578.8	7,952.7	1,155.3
მთლიანი სალდო	-474.9	-1,693.5	56.5

**მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 0.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი
<b>ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>-474.9</b>	<b>-1,721.3</b>	<b>0.0</b>
ზრდა	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტი	0.0	0.0	0.0
კლება	474.9	1,721.3	0.0
ვალუტა და დეპოზიტი	474.9	1,721.3	0.0

**მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 56.5 ათასი ლარი ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ონის მუნიციპალიტეტის სასესხო ვალდებულებები ჯამში შეადგენს 476.9 ათას ლარს, ხოლო 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იგი იქნება 389.5 ათასი ლარი.

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი
<b>ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>0.0</b>	<b>-27.8</b>	<b>-56.5</b>
კლება	0.0	27.8	56.5
საშინაო	0.0	27.8	56.5
სესხები	0.0	27.8	56.5

**თავი II. ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები**

**მუხლი 13. პრიორიტეტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამების აღწერა**

**1. ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდო 02 00)**

ონის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1,507.1 ათასი ლარით. დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის პროექტი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	1,507.1
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	434.8

02 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	972.3
02 02 01	წყლის სისტემების განვითარება	184.8
02 02 02	გარე განათება	230.0
02 02 03	საცხოვრებელი კორპუსების რეაბილიტაციის პროგრამები	10.0
02 02 04	სანაღრე-საკანალიზაციო სისტემის მოწყობა, ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა და რეაბილიტაცია	72.2
02 02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	475.3
02 03	ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა)	100.0

პროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	2020 წლის დაფინანსება ლარებში
	02 01		434.8
პროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი ბიუჯეტით წილობრივ დაფინანსებას სოფელ ბარი-მრავალძლის მისასვლელი გზების რეაბილიტაციას ასფალტის საფარის მოწყობით. პროექტი მრავალწლიანია. განხორციელება დაიწყო 2016 წელს და გაგრძელდა მომდევნო წლებში. 2020 წელს გათვლილია 2000 მეტრი გზის ასფალტირება პროექტი 2021 წელს დასრულდება. მოსახლეობას შესაძლებლობა ექნება ისარგებლოს სრულყოფილად პროექტის შედეგით.</p> <p>პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი ბიუჯეტით წილობრივ დაფინანსებას სოფელ დარში შიდა გზების რეაბილიტაციას ასფალტის საფარის მოწყობით. პროექტი მრავალწლიანია. გათვლილია მოსახლეობის საჭიროებებზე. მისი განხორციელება დაიწყო 2018 წელს. 2020 წელს დასრულდება და დაიგება 1300 მეტრის ასფალტის საფარის გზა. მოსახლეობას შესაძლებლობა ექნება ისარგებლოს დასრულებული საგზაო ინფრასტრუქტურით და მიიღოს სრულყოფილი შედეგი.</p> <p>პროგრამა ასევე ითვალისწინებს ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მიმდინარე და პრიოდულ შეკეთებას, სარეაბილიტაციო სამუშაოებს სოფლებში ფარავნში, სამთისი, ფარახეთი, შარდომეთი, სევა, სორი, ჟამიერეთი და სორგითში, ქალაქის და სოფლის ზონების თოვლისაგან და მეწყრისაგან წმენდას და სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებს.</p> <p>პროგრამის მიზანია მოსახლეობა გადაადგილდეს კომფორტულად, უსაფრთხოდ და თავისუფლად სოფლის სრულ ტერიტორიაზე. გაიზარდოს სხვადასხვა პროგრამებით, სოციალური სერვისებით სარგებლობის ხარისხი და რაოდენობრივი მაჩვენებელი, რაც ცხოვრების ეკონომიკური დონის ამაღლებას შეუწყობს ხელს.</p>		
პროგრამის მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის რეაბილიტაცია	2020 წლის დაფინანსება ლარებში
	02 02 01		184.8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ონის მუნიციპალიტეტში სოფლებში გლოლაში, ბარში, პიპილეთში, უწერაში და სორში სასმელი წყლის სისტემების ცენტრალური მაგისტრალი და შიდა ქსელი მოძველებულია და აღარ ექვემდებარება შეკეთებას. საჭიროა აღნიშნულ სოფლებში ჩატარდეს ცენტრალური მაგისტრალის და შიდა სასოფლო ქსელის სრული რეაბილიტაცია, რომლის დაფინანსებაც წილობრივად მოხდება ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში. ასევე დამატებით უნდა მოეწყოს სამარაგო რეზერვუარი და რეაბილიტაცია ჩაუტარდეს დაზიანებულ სათავე ნაგებობებს. ასევე მოხდება წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაო: სოფლებში კომანდელი, შარდომეთი, ხიდემლევი, სორგითი, ცხმორი, სევა. დაფინანსდება წყლის სისტემის მიმდინარე მომსახურება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	გამართული სასმელი წყლის სისტემა. სოფლის მოსახლეობის უზრუნველყოფა ტექნიკურად სუფთა სასმელი წყლით, შეფერხებების გარეშე.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2020 წლის დაფინანსება ლარებში
	02 02 02		230.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ონში და სოფლების გარკვეულ ნაწილში, გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 70%-ს. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა; ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება; დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება. ქვეპროგრამა ასევე მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებას (180.0 ათ.ლარი).</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის გარე განათების ქსელით სრულად დაფარვა და გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება</p>		

მოსალოდნელი შედეგი	გარე განათებით სრულად უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორია და შექმნილი კომფორტული გარემო უსაფრთხო გადაადგილებისათვის.
--------------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საცხოვრებელი კორპუსების რეაბილიტაციის პროგრამა	2020 წლის დაფინანსება ლარებში
	02 02 03		10.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>პროგრამა ითვალისწინებს ბინათმესაკუთრეთა საკუთრებაში არსებული ქონების რეაბილიტაციის ხელშეწყობას, რომლის ფარგლებშიც თანამონაწილეობის პრინციპით დაფინანსება სხვადასხვა ღონისძიებები მოსახლეობის განცხადებების და არსებული მდგომარეობის სიმძიმის გათვალისწინებით.</p> <p>ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრებთან შეხვედრები მიმდინარე პროგრამების გაცნობის მიზნით პროგრამის მიზანია არსებული პროგრამების გამოვლენა, მათი მოგვარებისათვის საჭირო გზებისა და მეთოდების ერთობლივად გადაწყვეტა</p>		
მოსალოდნელი შედეგი	საცხოვრებელი კორპუსების გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საკანალიზაციო სისტემის მოწყობა, ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა და რეაბილიტაცია	2020 წლის დაფინანსება ლარებში
	02 02 04		72.2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქ. ონის ტერიტორიაზე უხვი ნალექის დროს არსებული სანიაღვრე სისტემები დაზიანებების გამო ვერ უზრუნველყოფს წყლის ნაკადის შეჩერებას. ხდება საგზაო ინფრასტრუქტურისა და კერძო საკარმიდამო ნაკვეთების და კომერციული ფართების დატბორვა, საფრთხე ექმნება მოქალაქეთა ჯანმრთელობას. არსებული მდგომარეობის თავიდან აცილების მიზნით საჭიროა ქ. ონის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და ახლის მოწყობა. უხვი ნალექის პირობებში სანიაღვრე სისტემებმა დაუბრკოლებლად უნდა შეძლოს ზედაპირული და ფერდობებიდან ჩამომაველი წყლის ნაკადის გატარება, რომ თავიდან ავიცილოთ ქალაქის ტერიტორიის დატბორვა და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების დაზიანება. დაფინანსება მოხდება წილობრივად ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში.</p> <p>ქვეპროგრამა გულისხმობს სტიქიური მოვლენების დროს ზარალის თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია განხორციელდეს მთის მდინარეებისა და მისი შენაკადების (ლათქიშორა, ჯიჯიშორის, ბდღვიორა, ჭანჭახი, მუშუანის) კალაპოტების წმენდა ფორმირება და ნაპირსამაგრი ღონისძიებების განხორციელება. დაფინანსება მოხდება წილობრივად ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ონის ტერიტორიაზე არსებული არხების წმენდა, რათა ჩამდინარე წყლების მართვა მოხდეს შეუფერხებლად.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	სტიქიური მოვლენების დროს უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება და მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული ცხოვრება; სტიქიის უარყოფითი შედეგების პრევენცია, კერძო საკარმიდამო ნაკვეთებისა და ინფრასტრუქტურული ობიექტების დაცვა. მოსახლეთა უსაფრთხო ცხოვრება, მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კეთილმოწყობის ღონისძიებები	2020 წლის დაფინანსება ლარებში
	02 02 05		475.3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქ. ონში საზოგადოებრივი დანიშნულების სივრცეების კეთილმოწყობა-რეაბილიტაციის პროექტი გულისხმობს სოფელ ხურუთთან გადმოსახედის, სტელა-მონუმენტის, მდინარე ჭალურასა და მდინარე რიონზე არსებული ხიდების მოაჯირებისა და განათების მოწყობის, დემეტრე მეორის მოედნის, გიგა ჯაფარიძის სახელობის სკვერის მოწყობა-რეაბილიტაციას, სხირტლადის, დ. აღმშენებლის, კახაბერის, ვახტანგ მე-6, ბააზოვის ქუჩებზე საფეხმავლო ბილიკების, ღობეების, გამწვანების ზოლების, გარე განათების მოწყობის გათვალისწინებით. პროექტის განხორციელება ითვალისწინებს ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარებას. ამდღედ ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური და კულტურული ცხოვრების დონე, ხელი შეეწყობა ტურიზმისა და სხვადასხვა კერძო ბიზნესის განვითარებას.</p> <p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახალი ამბულატორიების მშენებლობას სოფლებში გომი, ზუდალი, ცხომრი, სევა, ლაჩთა, ირი და არსებული შენობების რეაბილიტაციას სოფლებში გლოლა, ბარი, სორი და ღები, რაც ადგილობრივი ბიუჯეტით იქნება წილობრივად დაფინანსებული. მოქალაქეებს საშუალება ექნებათ შეუფერხებლად ისარგებლონ უფასო და სწრაფი სამედიცინო მომსახურებით.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სამუშაოების სახეადახედელო მომსახურება, მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის საპროექტო-სადარჯთადრიხვო მომსახურება.</p>		
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარება და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა; სამედიცინო მომსახურების ხარისხისა და სერვისის გაუმჯობესება, ჯანდაცვის გაძლიერება. ქალაქის ტერიტორიის ლამაზი, მოვლილი და მიმზიდველი გარემო.		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენა რეაბილიტაცია (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა)	2020 წლის დაფინანსება ლარებში
	02 03		100.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი თახებით, მოსახლეობის მიერ შერჩეული პროექტების წილობრივი დაფინანსება.		
მოსალოდნელი შედეგი	სოფლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.		

## 2. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 410.0 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	ათას ლარში 2020 წლის პროექტი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	410.0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	360.0
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	50.0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2020 წლის დაფინანსება ლარებში
	03 01		360.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ონში და მუნიციპალიტეტის სოფლებში დასუფთავებისა და მასთან დაკავშირებული მომსახურებას; მოხდება შეგროვილი ნარჩენების ტრანსპორტირება ნაგავსაყრელ პოლიგონზე, ტერიტორია სადაც დგას ბუნკერები დღის განმავლობაში მუდმივად დასუფთავდება, დაცული იქნება მოედნების და სკვერების გამწვანების ზოლი ცხოველების დაზიანებისაგან, ასევე მოხდება დასუფთავების მოსაკრებლის ამოღების ორგანიზება ქალაქ ონის მოსახლეობიდან, ეტაპობრივად დასუფთავების არეალი გაიზრდება.  ქვეპროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ხორციელდება ონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებში არსებული უმეტესწილად დარჩენილი ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა.		
მოსალოდნელი შედეგი	დასუფთავებული, უსაფრთხო და ეკოლოგიურად სუფთა გარემო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე		

პროგრამის დასახელება	კოდი	მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა, განვითარება	2020 წლის დაფინანსება ლარებში
	03 02		50.0
პროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება ქალაქ ონში ასებულ სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები: ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა.		
პროგრამის მოსალოდნელი შედეგი	ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარება და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა; სამედიცინო მომსახურების ხარისხისა და სერვისის გაუმჯობესება, ჯანდაცვის გაძლიერება. ქალაქის ტერიტორიის ლამაზი, მოვლილი და მიმზიდველი გარემო.		

## 3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 245.2 ათასი ლარი. განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	ათას ლარში 2020 წლის პროექტი
04 00	განათლება	245.2
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	245.2

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი განათლება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარებში
	04 01		245.2
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ბაგა-ბაღი მიზნად ისახავს სკოლამდელი ასაკის ბავშვების ჰოლისტურ განვითარებას, ინკლუზიურ განათლებას, აღსაზრდელების უსაფრთხოებასა და საუკეთესო ინტერესების დაცვას, სტანდარტის შესრულების გაძლიერებას, ბავშვთა სკოლისათვის მომზადებას. აღმზრდელების ახალი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად გადამზადებას და ავტორიზაციისათვის მომზადებას. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 1 ბაგა-ბაღი სადაც დღეის მდგომარეობით შესაძლებელია 140 ბავშვის სწავლება, ხოლო სოფელ გლოლაში, დეზში და პიპილეთში სკოლამდელი განათლების ცენტრი. სულ სკოლამდელ დაწესებულებაში დასაქმებულია 40 თანამშრომელი. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის ფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი საამღზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება.</p> <p>2020 წლისათვის ონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი დაწესებულებების ავტორიზაციის გასაუფლებლად, მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩასატარებელი. მუნიციპალიტეტის მიზანს წარმოადგენს საბავშვო ბაღის სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად ფუნქციონირებისათვის იგეგმება საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, რომელიც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდება წილობრივად.</p> <p>პროგრამის მიზანია, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ხარისხიანი საამღზრდელო და საგანმანათლებლო პროცესისათვის ხელის შეწყობა; საგანმანათლებლო და საამღზრდელო პროცესის გაუმჯობესების მიზნით აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლება; ასევე პროგრამის მიზანია ბავშვების ოპტიმალური ზრდისა და განვითარების უზრუნველსაყოფად შესაფერისი გარემოს შექმნა, რაც გულისხმობს სტანდარტის შესაბამისი უსაფრთხო გარემოსა და დაცულ სანიტარულ ჰიგიენური ნორმებს. ახალი მაღალი ხარისხის აღჭურვილობის შეძენა/მონტაჟს და ავტორიზაციისათვის მომზადებას.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>შესაფერისი უნარჩვევებით უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტში მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვები; გაუმჯობესებული საამღზრდელო პროცესი, სტანდარტების შესაბამისი კვალიფიცირებული (სერტიფიცირებული) აღმზრდელები; სტანდარტების შესაბამისი კვება, უსაფრთხო გარემო და დაცული ჰიგიენური ნორმები.</p>		

#### 4. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 655.8 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	ათას ლარში 2020 წლის პროექტი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	655.8
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	157.0
05 01 01	ა(ა)იპ ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი	157.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	418.8
05 02 01	სახელოვნებო სკოლები	73.7
05 02 01 01	ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა	35.6
05 02 01 02	ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა	38.1
05 02 02	კულტურის ცენტრის დაფინანსების ღონისძიებები	110.6
05 02 03	მუზეუმის ფუნქციონირების ხელშეწყობის ღონისძიებები	57.2
05 02 04	ბიბლიოთეკის დაფინანსების ღონისძიებები	63.0
05 02 05	ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული საინფორმაციო ცენტრი	34.0
05 02 06	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	80.3
05 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	40.0
05 04	მოსწავლე ახალგაზრდობის ღონისძიებების დაფინანსება	40.0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი</b>	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01		<b>157.0</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სასპორტო სკოლის კომპლექსი აერთიანებს 3 სპორტულ მიმართულებას, ესენია: ფეხბურთი (48 ბავშვი); თავისუფალი ჭიდაობა (24 ბავშვი); ქართული ჭიდაობა (7 ბავშვი); ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (14 ბავშვი); კალათბურთი (19 ბავშვი) . სულ კომპლექსში სპორტის სახეობებს ეუფლება 112 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 4-ჯერ. კომპლექსში დასაქმებულია ჯამში 27 ადამიანი. კომპლექსის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;</li> <li>- მეტი მოზარდის ჩაბმა სპორტულ აქტივობებში, ბავშვებისა და მოზარდების მეთოდური აღზრდა/დაოსტატება;</li> <li>- მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.სპორტული ღონისძიებების მაღალ დონეზე ჩატარება.</li> </ul>		
მოსალოდნელი შედეგი	სპორტული წრეებით სარგებლობის მაქსიმალური ხელმისაწვდომობა; ჯანსაღი ცხოვრების წესით დაკავებული ახალგაზრდობა; წარმატებული სპორტსმენები და მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდები სპორტის სხვადასხვა სფეროში.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა</b>	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 01		<b>35.6</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლა</p> <p>სამუსიკო სკოლაში დაწყებით სამუსიკო განათლებას იღებს ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 39 ბავშვი, აქედან საფორტეპიანოს განყოფილებაზე ირიცხება 24 მოსწავლე და კლასიკური გიტარის სწავლას ეუფლება 16 მოსწავლე . სამუსიკო სკოლაში ბავშვები ეუფლებიან ფორტეპიანოზე და კლასიკურ გიტარაზე დაკვრას,ასევე სწავლობენ თეორიულ საგნებს.სამუსიკო სკოლაში დასაქმებულია 10 თანამშრომელი.</p> <p>სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენა; სიმღერის, ფოლკლორის, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე შემსწავლელი წრეები ჩამოყალიბება; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე. მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ</p>		
მოსალოდნელი შედეგი	სამუსიკო დაწყებით განათლებაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა; კულტურულ ღონისძიებებში, კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილთა გაზრდილი მაჩვენებელი		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა</b>	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 02		<b>38.1</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამხატვრო სკოლა.</p> <p>სამხატვრო სკოლაში განათლებას იღებს ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 61 ბავშვი, რომელთა გადასახადი თითოეულ ბავშვზე შეადგენს 8 ლარს. სამხატვრო სკოლაში ბავშვები ეუფლებიან ფერწერას, ხატვას, კომპოზიციას,მერწვას,თექას,ბატიკას,ხის მხატ.დამუშავებას,ფოტოხელოვნებას. სამხატვრო სკოლაში დაწყებით სამხატვრო განათლებას იღებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 61 ბავშვი. სკოლაში სულ დასაქმებულია 9 თანამშრომელი.</p> <p>სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებულიმხატვრობის ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენა; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე; ფასიანი, საქველმოქმედო ღონისძიებების მოწყობა; მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	სამხატვრო განათლებაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა; კულტურულ ღონისძიებებში, კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილთა გაზრდილი მაჩვენებელი		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>კულტურის ცენტრის დაფინანსების ღონისძიებები</b>	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		<b>110.6</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	კულტურის სახლში მოქმედებს სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის 5 შემოქმედებითი წრე , ესენია: ქორეოგრაფიული წრე; საესტრადო წრე; ქართული სალხური სიმღერის შემსწავლელი წრე; ქართული სალხური ინსტრუმენტების (ფანდური)შემსწავლელი წრე; ქართული სალხური ინსტრუმენტების (სტვირი)შემსწავლელი წრე. სულ წრეებში		

	<p>გაწვერიანებულია 179 ბავშვი. კულტურის სახლში დასაქმებულია 42 ადამიანი. ანსამბლები მონაწილეობას იღებენ საქართველოს მასშტაბით გამართულ სხვადასხვა ღონისძიებასა და ფესტივალებში.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:  - განახორციელოს მუნიციპალიტეტში ადრე გავრცელებული ტრადიციების, წეს-ჩვეულებების შესწავლა და აღორძინება.  - შეიმუშაოს სხვადასხვა კულტურული პროგრამა და უზრუნველყოს მისი განხორციელება.  - დაგეგმოს მასობრივი ღონისძიებები და უზრუნველყოს ფართო საზოგადოების ჩართულობა.  - მოაწილოს ექსპედიციები სხვადასხვა ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალის მოძიებისა და პოპულარიზაციის მიზნით.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების გაზრდილი მოთხოვნა კულტურის სხვადასხვა სფეროს მიმართ; კულტურულ ღონისძიებებში, კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილეთა გაზრდილი მაჩვენებელი; ეროვნულ ტრადიციებზე აღზრდილი თაობა.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუზეუმის ფუნქციონირების ხელშეწყობის ღონისძიებები	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 03		57.2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუზეუმი წარმოადგენს კულტურის, განათლების, მეცნიერების კერას. სადაც დაცულია 14 000 ზე მეტი ძირითადი და დამხმარე ექსპონატები მათ შორის არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, სახვითი ხელოვნების ნიმუშები, მუხატელობის რელიეფები, ნუმიზმატიკური, ხელნაწერი და ძველბეჭდური წიგნები, ხელნაწერი იტორიული დოკუმენტები და სხვადასხვა პატარა კოლექციები. მუზეუმში დასაქმებულია 12 თანამშრომელი. მუზეუმი მასპინძლობს როგორც უცხოელ ასევე ადგილობრივ ვიზიტორებს, აწყობს არქეოლოგიურ, პალეონტოლოგიურ, ეთნოგრაფიულ, ფოლკლორულ ექსპედიციებს რაჭის სხვადასხვა სოფლებში. მიმდინარეობს სამეცნიერო საგანმანათლებლო საქმიანობა, მჭიდროდ თანამშრომლობს სხვადასხვა კვლევით დაწესებულებებთან. მეცნიერთანამშრომლები მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა პროექტის ფარგლებში დაფინანსებულ ბუკლეტებისა და კატალოგების გამოცემებში. მუზეუმში ეწყობა სხვადასხვა მხატვრების სახვითი ხელოვნების ნიმუშების გამოფენა, პრეზენტაცია ხდება სხვადასხვა წიგნების, ალბომებისა და კატალოგების. დეზინფექცი-დეზინფექცია უტარდება მუზეუმის ფონდებში დაცულ ხისა და ტექსტილის ნიმუშებს.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:  - სხვადასხვა სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება, ექსპონატების შეგროვება დაცვა პოპულარიზაცია, მჭიდრო თანამშრომლობა მოსწავლე ახალგაზრდობასთან, ვოლონტერებთან, საზოგადოების ფართო მასების აქტიური ჩართულობა ჩვენი კუთხის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შესწავლის საქმეში.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	დაცული და შესწავლილი კულტურული მემკვიდრეობის ექსპონატები; ვიზიტორთა რაოდენობის მატება;		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ბიბლიოთეკის დაფინანსების ღონისძიებები	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 04		63.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა შედგება 1- ქალაქის და 16 სასოფლო ბიბლიოთეკისგან. წიგნადი ფონდი შეადგენს სოფლად და ქალაქად -61446 ეგზემპლარს.ბიბლიოთეკაში დასაქმებულია 24 თანამშრომელი, რომელიც ემსახურება ყველა ასაკის მკითხველს. წლის განმავლობაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტები. კითხვის სადამოები ლიტერატურულ-თეატრალური წარმოდგენები. დაგეგმილია წიგნადი ფონდების განახლება, შემეცნებითი შეხვედრების ჩატარება სკოლებში.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა, ჩართულობისა და დაინტერესების ზრდა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული საინფორმაციო ცენტრი	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 05		34.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას; წინადადებების შემუშავება ტურიზმის პოტენციალის გაზრდის მიზნით; ტურიზმის სფეროში სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება შეგროვება; ტურიზმის სფეროში მომუშავე სხვადასხვა ორგანიზაციიდან თანამშრომლობის გზით წინადადებების შემუშავება, ტურისტული მომსახურების სფეროში არსებული გამიცდილების გაზიარებისა და პრაქტიკაში დანერგვის მიზნით შესაბამისი პროექტების მომზადება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	გაზრდილი ტურისტული პოტენციალი		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 06		80.3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ონის მუნიციპალიტეტში საერო-სადღესასწაულო დღეებში მუნიციპალური ღონისძიებების (ონელობა, ახალი წელი), ფესტივალების (გიგა ჯაფარიძის და შალვა ჯაფარიძის სახელობისა და ავთენტური ფოლკლორული ფესტივალი), არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენა პოპულარიზაცია, ლიტერატურულ-შემოქმედებითი სადამოების და მასტერკლასების, ვორკშოპების და სხვა ღონისძიებების ორგანიზებისათვის კულტურული პროექტების განხორციელებას თანადაფინანსებით.</p> <p>ქვეპროგრამა მოიცავს არაფორმალური განათლების მხარდასაჭერად განხორციელებული აქტივობების დაფინანსებას, როგორც კლასიკური მუსიკის კონცერტის გამართვა, ახალგაზრდობის დაინტერესება თანამედროვე ქართული პოზიით მწერლებთან შეხვედრების გზით, ვორკშოპები-მასტერკლასები, როგორც უცხოელი ასევე ქართველი მხატვრებისაგან და ინტელექტუალური კონკურსი „ეტალონი“.</p> <p>ქვეპროგრამა მოიცავს სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში და ოლიმპიადებში მონაწილეობას, წარმატებული მწვრთნელებისა და სპორტმენების დაჯილდოებას.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია შესაძლებელი გახდეს მუნიციპალიტეტში და რეგიონში მცხოვრები მოსწავლე ახალგაზრდობისათვის არაფორმალური დამატებითი სწავლების სისტემის გაუმჯობესება და სკოლისგარეშე განათლების სრულყოფა. მოსახლეობისათვის სპორტის ხელმისაწვდომობის გაზრდა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა, სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება და პოპულარიზაცია, მოზადრებსა და მწვრთნელების სტიმულის გაღვივება უკეთესი შედეგის მიღწევისათვის.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	შენარჩუნებული და განვითარებული კულტურული მემკვიდრეობა; მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში გაზრდილი ჩართულობა; საზოგადოებაში ამაღლებული ცნობიერება სკოლისგარეშე, არაფორმალური განათლების, სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციის ორგანიზების მიმართულებით.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 03		40.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სოფლებში არსებული ტაძრების მიმდებარე ტერიტორიების შემოღობვა, ეზოების კეთილმოწყობა. სოფელ მრავალძალში და სორგითში წმინდა გიორგის სახელობის ტაძრების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა		
მოსალოდნელი შედეგი	მოვლილი და განახლებული რელიგიური ძეგლები		

